

თქვენს მიერ
გაწესდით

მეატრი სხოვრებ

1910 სათავადადო სალიტერატურო აქრნალი № 22

47

044

კ ვ ი ა , 6 ი მ ნ ი ს ი



მ.ტ.

ბაბო ავლიშვილისა
(გარდაცვალებიდან 10 წ. შესრულების გამო)



№ 22

წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ., ცალკე ნომერი 10 კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან. **თიფლის.**
Редакция «Театри да Цховреба»

Тос. Зах. Имедашвили
ხელმოწერილი წერილები არ დაიბეჭდება.—
ხელნაწერები საქიროებისამებრ შესწორდება.—
რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება
შეიძლება შეუდლის 12—2 ს. ტ. საღ. 6—7 ს.
ტელეფონი № 862

№ 22

ქ ვ ი რ ა, 6 ი ვ ნ ი ს ი,

1910



რედაქციისგან. ჩვენმა მსოფიანმა და სა-
ყვარელმა მგოსანმა აკაკიმ მუღმივი თანამშრომ-
ლობა აღგვითქვა ზ დღეის შემდეგ მახლობელს
მონაწილეობას მიიღებს ჩვენს ჟურნალში.

6 ი ვ ნ ი ს ი 1910 წ.

ახალი გ ზ ა, შეჩვეული ქირი შეუჩვეველ
ახალი ძალა. ლხინს მირჩენიაო, უთქვამს
ხალხს და ალბად ამ ანდაზის მტკიცედ მიყოლ-
ვამ თუ დავგასნეულა ასე ძლიერადა...

ძველის ბაძეა, გატკეპნილ გზაზე მანქა-
ნისებურად სვლა, უკვე გაბატონებულის მო-
ნება,--ერთი სიტყვით, მამა-პაპათა ადათ-წესე-
ბით ცხოვრება ყოველგვარ წინმსვლელობას
აფერხებს და აკი ჩვენის თეატრის წინმსვლე-
ლობაც შეფერხდა, თითქოს ერთს ადგილს
გაიყინაო...

გასული კვირის ნომერში შეძლებისა-და
გვარდ აღენიშნეთ ჩვენის მოზარდი თაობისა
და სცენის დაქვეითების მიზეზი და შედეგი,
დავსკვნით, რომ ჩვენი სცენა მხოლოდ სრუ-
ლიად ახალის ძალებით, ახალის გზით თუ ეღირ-
სება ფეხზე აღვამას, წელში გამართვას...

როგორი უნდა იყოს ეს ახალი ძალა?
ჩვენის მსახიობთა პირველმა თაობამ, თუ
შეიძლება ასე ითქვას, **მამათა თაობამ,** სცე-
ნაზე პირველი გამოსვლიდანვე დამოუკიდებ-
ლად, მიუბაძველად, გაბედულად გამოსდგა
ნაბიჯი, პირველი გამოსვლითვე მიიჯაჭვა სა-
ზოგადოების ყურადღება და თავის დროის მო-
თხოვნილებას შესაფერი პასუხიც გასცა, თავი-
სი მოწოდებას სამაგალითოდ შესარულა. მათ
შემდეგ დიაღაც ბევრნი მიეტმასნენ სცენას,

მაგრამ ვეღარავინ შესძლო სცენაზე გაბატო-
ნებულთა გვერდზე ამოდგომა, ან წინსვლა...

როგორც უკვე ვსთქვით, ეს ასეც უნდა
ყოფილიყო: გაბატონებულნი ავგე აღვილად
არ დასთმობდენ თავიანთს უღარესობას...

და ამიტომაც არის, რომ დღემდე—თუმცა
უკვე ისე აღარ—მინც საზოგადოებას ახალ-
გაზღვებზე მეტად ისევ ძველები იზიდავს, აღ-
ბად წინანდელის ეშხით...

ეს ფაქტია...
ქართული სცენა-კი... ისევ სავალალო
მდგომარეობაშია...

უქანასკნელმა გამოსაცდელმა წარმოვე-
ნამ ხომ იმედი გავვიტრუა...

გულსაკლავია სცენაზე ახლად შემომსვლე-
ლთა უმეტესობის განცხადება-თხოვნა: ადგი-
ლი ვერსად ვიშოვე და მიმიღეთ.. ვაივოდგები
როგორმე... სცენას შეეჩვევი და ვივარგებო,
მიქირს და მკირე ჯამაგირში მიმიღეთო. . რო-
გორ როლებშიაც გინდათ გამომიყვანეთ და
სხ. და სხ. მოპეტებულს მათგანს ხომ წერა-
კითხვასა და ანბანზე წარმოადგენაც არა აქვს,
თუ წაიკითხავს—წაკითხულის გაგებასაც ვერ
შესძლებს...

თითქო ქართული სცენა მხოლოდ უნი-
ქოთა საკრებულო, ინვალიდთა, ცხოვრების
სხვა ასპარეზე დამარცხებულთა თავ-შესაფარი
იყოსო,—ასეთი ხალხი იყრის თავს...

არა, ჩვენს სცენას ამისთანა ხალხისგან არ
უწერია ხსნა...

რას ნიშნავს? რა მიზეზია რომ ქართულ სცე-
ნას ინტელიგენტი ძალა არ ეკარება? ნუ თუ
ქართველ ერში თვითნიჭიერება აღარ იბადება?
სინამდვილე-კი სხვას გვეუბნება, სახელ-



დობრ იმას, რომ სცენისთვის სასარგებლო ძალნი ქართულს თეატრს გაუბრძინან, სხვაგან რჩეობენ სამსახურს!..

აი მიზეზი, რომელსაც გამოკვლევა და თავიდან აცილება ეკირვება.

ქართული სცენის ფეხზე დაყენება დღეს საგმირო საქმეა და სწორად ასეთ გმირებსაც მოითხოვს დღეს ჩვენი სცენა...

სწავლა-კოდნით აღჭურვილს, გონება-ზნეობით განსპეტაკებულს, მწიგნობრობისა და ხელოვნების მკოდნეს, ზემომაღლებული ნიჭით აღჭურვილს, თავისუფალს მხატვარს, დამოუკიდებელს, საკუთარი შეგნება-რწმენით მოსიარულე არტისტს მოითხოვს ჩვენი სცენა. მხოლოდ ამ გვართავან თუ ეშველება ჩვენს სცენას...

ახალი არტისტი, სცენის ახალი მოღვაწე უნდა იყოს **თვითშემკმნელი** და არა უხეირო მიმბაძველი, **თვით-მომცემი** და არა სხვის ხელის შემყურე, **საკუთარი გზით მოსიარულე** და არა სხვათა ყურჩასაკიდებელი.

ამგვარი ახალი ძალებით შედგენილს დასს უეჭველი გამარჯვება მოეღოს, საზოგადოების სრული თანაგრძობა და **ქართული მუდმივი სათეატრო მაყურებელი** რომ შეიქმნას, — ამისათვის საკიროა სამოქმედო ასპარეზის გაფართოება.

როგორი უნდა იყოს ეს სამოქმედო ასპარეზი და რა კვალი უნდა გაავლოს ახალმა ძალამ, — ამისზე შემდეგ.

ახლანდელი პოეზია

მიყვარს ვარდი, ია.

პირი დაუღია

ჩემს საყვარელს თინას.

ვენაცვალე იმას!

მისთვის ვდნები მე.

ისკი შევკამე!

თინასა ჰყავს დები.

მე-კი მისთვის ვკვდები.

ყველას ის სჯობია,

როგორც პანტას ბია.

მისთვის ვდნები მე.

ისკი შევკამე!

ფიზიკის და ძილშია

ის მიზის გულშია.

მწყურია, თუ შშია,

მისთვის ვდნები მე.

ისკი შევკამე!

—
ცაზე კრთის ვარსკვლავი.

მე-კი თინას მკლავი

მირჩვენთან ყველას—

ზეცას, ცისარტყელას,

მისთვის ვკვდები მე.

ისკი შევკამე!

—
თინავ, თინავ, თინავ!

მზესავით რომ ბრწყინავ,

შემიბრალე, მალე

მოდი ჩემთან ხვალე.

შენთვის ვდნები მე.

შენკი შევკამე!

—
მიცეთ დავიწყებას

თავი, ნეტარებას.

შევსკუროთ შუაში

სიყვარულის ზღვაში.

შენთვის ვდნები მე.

ოჰ! შენ შევკამე!

ივ. გამარტელი

ჩემი უნიშვნები

(დასასრული. იხ. „თ. და ც.“ № 21)

მე არ მინახავს ჯერ ისეთი ქართული წარმოდგენა, სადაც თავიდან ბოლომდის ბუნებრივობა მიხვრა-მოხვრისა ყველას-მიერ და-ცულ უოფილიყოს. განსაკუთრებით თანამედროვე პიესებში, სადაც „თეატრალიზაცია“, თეატრალიზური „ჩესტი“ ოლონდაც რომ დასავლობია. მესმის, ე. ი. ასე თუ ისე, კიდევ ვურიგდები კლასიკურ პიესებში მსახიობურ მიხვრა-მოხვრას. ეგეც ერთ გვარი სტილის დაკვრაა, „სტილიზაცია“. მაგრამ სრულიად ვერ გამიგია და ვერ შევჩვევივარ თანამედროვე პიესებში ამალღებულ, ყალბ კილოს, უადილო ფარო-



ფურთოხას, ხელის ფართოდ ქნევას და თავსა და გულზე ხელების საგანგებოთ დაწყობას. ეს „მანერა“ დიდი ხანია დამოზღობილია საუკეთესო თეატრებისა და არტისტების-მიერ. ის კი არა, თვითონ განთქმული იტალიელი ტრაგიკოსი როსსი ამბობს თავის მოგონებებში: „როდესაც პირველად ვერიბი „იფიგენიაში“ ორესტა ვითამაშე, ეს ტიპი მეტად ადამიანური გამოვიდა, მეტად დავუახლოვე მისი განსახიერება თანამედროვე მსყურების სულსა და გულს, ეს აღარ იყო ის მითოლოგიური მშვენიერი, მაგრამ მაინც ცივი და უსუსულ-გულლო ქანდაკება, როგორცაა წინად გვისურათებდნენ მსახიობნი. ჩემი ორესტი თითქო უფრო გაუბრალოვდა, „პიედესტალიდან“ ქვეჩამოვიდა და ჩვენებური, მომავლადვის ხორცი შეისხა. ამიტომაც უფრო გავიმარჯვე ამ როლში და მეტი აღტაცება გამოვიწვიე“. ამას ამბობს თვით როსსი, რომლის პლასტიკა, რომლის კლასიკური მიხვრა-მოხვრა სამაგალითოდ არის მიჩნეული. ისიც კი რეალიზმისაკენ მოიწვრათა!

ასეთივეა, მაგრამ კიდევ უფრო გაუბრალოვებული, უფრო მარტივი და ხელ-მისაწვდომი, ერთი თანამედროვე ტრაგიკოსი იტალიისა ემანუელი. მისი „ჰამლეტი“ რომ ნახოთ თურმე, გაოცდებით. იმდენად სულ უბრალოთ და თითქო უფეჟტოთ თამაშობს თურმე. მაგრამ დამაწერნი და კრიტიკოსნი გვარწმუნებენ, რომ ამითი „ჰამლეტი“-ს მომხიბლავ შარავანდედს არა აკლდება-რა. ცოტა დაკვირვების შემდეგ უფრო მოგწონთ ეს შინაური ჰამლეტი, ეს თქვენი მახლობელი, ეს შეიძლება თვით თქვენი თავი.

ღიად, სწორედ ეს გაშინაურებაა საქმე. ეს სიახლოვე, ეს ხელმოსაკიდობა, დემოკრატიზაცია ტიპისა, პიროვნებისა. და თუ ამას უხერხებენ კლასიკური და ზე-აწეულ პოესებსა და ტიპებს, თანამედროვე პოესებს წარმოიდგენთ როგორი შესრულებაც მოუხდება.

მერე გგონიათ, რომ ჩვენი მსახიობი ამ უბრალოებას ვერ დაიცავს სცენაზე?

მოწინავე თეატრებმა და განსაკუთრებით მოსკოვის სამხატვრო თეატრმა მოგვცა ამის მაგალითი და იმედი, რომ სცენაზე უბრალოების და რეალიზმის დაცვა, განსახიერება სა-

შუალო ნიჭის არტისტებისათვისაც შესაძლებელია. მხოლოდ რა თქმა უნდა, ამისათვის გავწერთა და მიჩვენევა საქირო. ის, რაც წინედ მხოლოდ მაღალ-ნიჭიერთა კუთვნილება ეგონათ, საშუალო ადამიანისათვისაც შესაძლებელი გაზოდა ე. ი. სცენაზე უბრალოების გამოხატვა. რა თქმა უნდა მაღალ-ნიჭიერ მსახიობს ათასი საშუალება აქვს თავისი მაღლიანი მხატვრული უნარი გამოიჩინოს. მას შეუძლიან უბრალოებაც უმაღლესი ხელოვნებით დაგვისურათოს და ამით ერთხელ კიდევ გაამართლოს ის აზრი, რომ რაც დიდებულია—ყოველივე მარტივია და ყოველივე მარტივი კი არ არის დიდებული, მაგრამ, ვიმეორებ, დღევანდელმა მოწინავე თეატრებმა ცხადათ დაგვანახვეს, რომ გავწრთინთა და შრომით საშუალო ადამიანიც მიადწევს მხატვრობაში, ხელოვნებაში სასურველ შედეგს. მაშასადამე ჩვენ მსახიობთაც შეუძლიათ, რომ უბრალოება დაიცვან სცენაზე. მხოლოდ მუშაობის სისტემას უნდა შევცვალო.

სადღესო ვალიც ჩვენი თეატრისა ე. ი. ჩვენ მსახიობთა მეორე თაობისა სწორედ ეგ არის, რომ გამოვიდეს ერთ გარკვეულ გზაზე და ერთი გარკვეული მიმართულება დაამყაროს.

ჩვენმა მოხუცებმა მშვენიერი სასცენო დადენა შეადგენს. მეორე თაობამ-კი წერა-კითხვა უნდა დაამყაროს.

წერა-კითხვის დამყარება კი სცენაზე რეალიზმია. ბუნებრივი, ადამიანური მიხვრა-მოხვრა, ბუნებრივი, ქართული გამოთქმელობა. აი რა უნდა შეიმუშავოს და რა უნდა დაამკვიდროს მეორე თაობამ. ისე კი მიმართულებითაც, ჩემის ფიქრით, თუ ჩვენ ვცინდა, რომ ჩვენი თეატრი ცხოვრებას დავუახლოვოთ, თუ გვიცინდა, რომ თვით ცხოვრებისაგან ანარკელი სხივით გავაშუქოთ სათეატრო სურათები, მაშინ სინამდვილე უნდა იყოს ჩვენი სულის ჩამდგმელი, ხორც-შესხმელობა და ხელ-მოსაკიდობა უნდა იყოს ჩვენი სამოსელი. ყველა ამის გარდა, მე გგონია, რომ თვით ჩვენი მსყურებელის უმაღლესი მოთხოვნისადაც ჯერ-ჯერობით რეალურ თეატრის არსებობას ეთანხმება და იბნენისა და ჰაუბტმანის სიმბოლიზმ-წარეულ რეალიზმს არ გასცილება. ე. ი. მე მინდა ეთქვას—შეიძლება, დასახელებული ავტო-



რებიც და მისთანანი ჩენი მაყურებლის უმეტესობისათვის ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყოს, მაგრამ მაინც და მაინც მათი გაგება შეიძლება დღეს-დღეობითაც შევაჩვიოთ ამ უმეტესობას და მისი შეგნება ავიყვანოთ ნახსენებ ავტორთა სიმაღლემდე.

თუმცა, ვთქვათ, რომ დღესვე გვესაჯიროება მაგ. „სათუო“ თეატრის გაჩენა. მის შესაქმნელად, ჩემის ფიქრით, კიდევ უფრო არის საჭირო რეალიზმი. ე. ი. სასცენო რეალიზმის მკვიდრი და საფუძვლიანი ცოდნა! ეს შეიძლება უბრალო მაგალითით აიხსნას: ვინაც კარგად და საფუძვლიანად არ იცის, ვთქვათ, მხატვრობა, ხატვა, ის ვერც კარიკატურას დახატავს. როდესაც კარიკატურას დახედავთ, ასე გეგონებათ, ამას აბა რა დიდი ცოდნა და უნარი უნდაო, მაგრამ სწორედ კარგ კარიკატურის შექმნას სჭირდება დიდი და საფუძვლიანი ცოდნა ხატვის ყველა კანონებისა. კარიკატურა ხომ არავითარ რეალურ სახეობას არ წარმოადგენს. ვის უნახავს მაგ, ისეთი დიდი თავი პატარა და წვრილ ფეხებზე, ან ისე გრძელი და მოუდრეკელი ფეხები მსხვილსა და ბურთივით მრგვალ ტანზე, როგორც ზოგჯერ კარიკატურაშია. იქ ხომ ყოველივე განგებ

გაზვიადებული ან დამახინჯებული! მაგრამ იმისათვის საჭიროა თურმე საფუძვლიანი, ყოველ-მხრივი ცოდნა რეალურის, ნორმალურის სხეულისა, ანატომიისა, პერსპექტივის კანონებისა, ფერთა შეზავებისა და სხვა და სხვა ათასი ტექნიკური ცოდნა.

აგრე აქაც, თეატრის საქმეში. იმისათვის, რომ შემდეგ მაგ. „სათუო“ თეატრიც გვექმნეს, ჩვენთვის დღეს საჭიროა რეალური თეატრი. აქამდის კი რეალური თეატრი არ გვექმნია. ე. ი. სინამდვილით გემომსახავი წარსულისა და მიმდინარე ცხოვრებისა. იქ არ შექმნილა ილილიუზია სრულის სინამდვილისა.

მის დასამყარებლად-კი გვეკირდება: რა თქმა დნუა, სხვა და სხვა ტექნიკური ცოდნაც, მაგრამ დღეს-დღეობით, ჩვენს პირობებში მყოფ მსახიობებს—სიმარტივე და უბრალოება. ისეთი მაინც, როგორც თვათ ჩენ შეგვდგამს—ჩვენს ბუნებას და შემდეგ შეთანხმებული და ცხოვრებასთან დაახლოებული მორთულობა და ხელსაწყო. ეს ყველა თითქო წვრილმანია, მაგრამ აბა ვიღამ არ იცის ის ძველისძველი ქემშარბიტება, რომ წვრილმანისაგან შესდგება დიდი სხეული და დიდი საქმე.

შალვა დადიანი



დ ი ლ უ

თვალ-უწყედენი, მღელვარე ტბა ვარღს დაეცა გულზე წვეთი
მზის სხივების ცეცხლზე გათბა.. ცის წიაღით მონაკვეთი
შეფრთხილდა ცის ტოროლა
და მიდამო აათრთოლა!

* * *

აქიკიკიდი ტოტზე, ჩიტო.. და ხრიალით შავ-ბნელ ხევში
იბრქვივიალე მარგალიტო.. ნიაღვარო ვადაეში!
მსურს ნადევილი საბოლოო
თქვენს უბიდან ამოვწოვო!

გ. ტაბიძე





ა კ ა კ ი

რეაქცია

ოთხ მოქმედებიანი

სცენები აკაკისა

(ამ პიესის წარმოდგენა ანუ გადაბეჭდვა ავტორის ნებადაურთველად აკრძალულია)

მომქმედნი პირნი:

ვახუშტი ცხვარაძე, სოფლელი თავადი.
 ბეჟან ცხვარაძე, მისი ძმა, სამსახურში ნამყოფი.
 ალექსანდრე, ვახუშტის შვილი.
 დათია, ვახუშტის მოსამსახურე.
 იოსებ ლაბაძე, გადამწყვარი გლეხი.
 ფასია ლაშაძე, სოფლელი აზნაური.
 ნატო, დიდებულის ძვირფასი.
 ნინო (მისი ქალები.
 ელენე (მისი ქალები.
 გიგო ბეგლარიძე, ნინოს საქმრო.
 ოთხი გლეხი.

მოქმედება პირველი

ბუხრიანი ოთახი სოფელში

I

ვახუშტი, მარტო

ვახუშტი (ბუხარს უჩას) დათია!

ხმა (შეაჩუქ ოთახიდან). აქა ვარ! (დრო გა-

დის, არაფერ შემადის)

ვახ. დათია, დათია!

ხმა. აქა ვარ, აქა! (არაფერ შემადის)

ვახ. (უფრო ხმა მადღა) ჰმ!.. ბატონო, დავით!

II

იგივე და დათია, შემოდის.

დათია. რა გინდათ?

ვახ. რა უნდა მინდოდეს! გეძახი და ხმას არ მცემ!

დათია. რა გინდათ?

ვახუშტი. მოდი, ერთი, თუ კაცი ხარ, ბუხარში ჯირკი გაასწორე! ვერ არის კარგათ შედებული... გადმოვარდნას აპირებს.

დათია. (იდრაჟება) მერე და ამას რა დიდ საქმე უნდა? უჩემოთ ვერ გაასწორებ?

ვახუშტი. ვერა, შვილოს, რასაც მიჩვეული არა ხარ უმადლობიდანვე, სიბერეში ვეღარას მოახერხებ.

დათია. (იდრაჟება) ჰმ... სხვა?

ვახუშტი. სხვა არაფერი!... რომ კიდევ რამე მქონოდა დასასაქმებელი, განაგამოგონებ? წელანდელისა არ იყოს, ათასჯერ უნდა დავიძახოს კაცმა.

დათია. წელან არ მეცალა.

ვახუშტი. რა ცალი გეკილა?

დათია. ბეჟანის კალოშებსა ვწმენდლი.

ვახუშტი. ბეჟანის კალოშებს რა უნდოდა აქ?

დათია. ალექსანდრესთან ამოვიდა. ძალიან

კი ჩაუკრავს ფეხი! ამდენი ხანია ვწმენდ და კიდევ ვერ გავაძალე ტლახი.

ვახ. ახლა ალექსანდრესთან ბრძანდება?

დათ. იქ არი.

ვახ. კარგი გაუწმინდე, თუ ძმა ხარ!... (დათია გადის, ვახუშტი თავადს გაუფაფეს. სინუისის შეშვეკ ამოახეწუებს და თავის თავს ეტყუვას) იმ ბეჩავ წინანდელი დროც!.. ახლა დრო მაგათია!.. უნდა დავუყვავოთ... ია-ვარდი წან დაუფინოთ!.. თუ არ სიამ-ტვილობით — ისე ვეღარას ვახდები კაცი!... ჰმ. ნუ იჯავრებო, მეუბნება ის ჩემი ახირებული შვილი. მოდი-და ნუ იჯავრებ! (საფიქრდებს) ბატონ-უმობას რომ უპირობდენ ვადაგდებს, მაშინაც ამ გვარი ნიშნები იყო!.. სწორეთ ჩამოგვართმევენ მიწებსაცა და სულ მშრალზე დავრჩებით. ღმერთმა ნუ ქნას ჩემ სიცოცხლეში და მერე მისი ნებაა „ჩემს შემდეგ ქვა ქვაზედაც ნულარ ყოფილაო“, ნათქვამია. ორი დღე აღარ დამჩენია, წან ორი პარასკევი აღარ მიდევს, რად გავიხეთქო წინ-და წინ გული? მერე რაც იქნება — ის შვილებმა იკისრონ! მე კი მანამდე თუ მოვახერხებ, ჩემს ნებაზე ვქამ, ჩემს ნებაზე და ასე მივეუჯღები ბუხარს თბილად (უჩხაიანებს ცეცხლს და დადინებს)



«გამხიარული ბუხარო,
 გულ-ჩახვეული ნუ ხარო,
 ზამთრისთვის შეშა ბევრი მაქვს
 და ნულარაფერს სწუხარო»
 შემე კი არა, ჯირკი!.. ჯირკი! (უჩხვიანებს)

III

იგივე და ბეჟან შემოდის.

ბეჟან. ოჰ, საღამო მშვიდობისა. გეტყობა კარგ გუნებაზე ხარ.,

ვახ. ისე შენი მტერი იყოს! მაგრამ მინდა, რომ გახურებულ ბუხარს გადავყოლო გული... ჯაფრის თავი წავართვა როგორმე.

ბეჟ. რა მოვივიდა?

ვახ. სიბერე თავლაფდასხმული და შერცხვენლი! მივედლომივარ კრუხივით ბუხარს... და ველარც იქით წავსულვარ და ველაც აქეთ. ზიარება რომ გინდოდეს... მღვედელთან გასაგზან კაცს ველარ შოვილობ. ერთობაო, თანაწორობაო!.. საგონე აღარაიენ არის და თვითონაც ველარ ინძრევი... ვერსად მიდისარ.

ბეჟ. სად უნდა წახვიდე ამისთანა დროს? რომ იტყვიან, ძალი არ გაივდება კარშიო, სწორეთ ის არის! თოვლ-ტყაბი, ქარი, ტალახი, სიცივე.

ვახ. — მერე და, რამ გამოგიყვანა ამისთანა დროს სახლიდან?

ბეჟ. — საქმე მქონდა შენს შვილთან. და მაინც რა ბეგია ჩემი სახლიდან აქამდე? სულ ორი ბიჯი თუ იქნება... მაგრამ გადამიცლა ფეხი და ტყველება გავადინე.

ვახ. — უჰ! რა ხუმრობაა! ფეხი ხომ არ დაგისველდა ტალახში? ხომ არ გაცივიდა? წამოიწიე ცეცხლისაკენ!

ბეჟ. (შოაჩხვიანებს სკამს)

„ბუხარი და ერთი კაციო—ნათქვამია. თუ გაქორდეს—ორი კაციო; თუ მესამეც მიემატოს, ადექი და კარში გადო.“

ვახ. (აღნასი) ეგ ახლანდელ ფეხებზე უნდა იყოს ნათქვამი, თვარა ძველებურ პირ-ლია ბუხარზე კი არამ! ამისთანა ბუხარი ხუთსაც ეყოფა ჩვენისთანას.

ბეჟ. ტყვილა დასცინიან იმ იმერელს, რომ უთქვამს: «ნურც საქაოს და ნურც საიქიოს ცეცხლი ნუ მომიშალოს ღმერთმაო.» მართლა რომ კაი რამეა ცეცხლი, თუ შენ ნებაზე ანთია.

ვახ. ხუმრობ თუ? ზამთარში მინც რა სჯობია გახურებულ ბუხარს? მარამ იმასაც თავისი ხელის შეწყობა უნდა: დაქორილი შემე ვერ გააძღვს, თუ ჯირკს არ შევდებ. ჯირკი კი, მოვევცა ღვთის წყალობა, მოწყობილი იყოს: საღამოს რომ შეუზოზინებ ცეცხლს, გათენებადის გააქვს გუზუ-გუზი! სითბო? სითბოს ისეთს იძლევა, რომ ამ ჯუჭუტანებში კარებიდან, ფანჯრებიდან თუ მაღლა ქერებიდან რამდენიც უნდა აუბეროს ქარმა, სიცივე ვერ შემობედავს.

ბეჟ. მართლაც რომ მხურვალეა ჯირკი. მაგრამ სად შოვობ ამდენს?

ვახ. ცოტაა ტყეში? ზაფხულში მოვატანებ, დავგაროვებ ხოლმე საზამთროთა და მორჩა და გათავდა.

ბეჟ. ბევრი უნდება ერთ ზამთარს?

ვახ. ასი თავს გადადის. (სიჩქმე)

ბეჟ. ამისთანა ღამეში დარჩენილხარ სადმე გარეთ?

ვახ. მე? ჰმ, ნეტავი პირაქით არ წამეკიდებოდეს ფათერაკი, თვარა მე რაფა შევეჩხირებინე?.. რად გევიტორვებ გაუქირვალ საქმეს? სხვა რამე თქვი, თვარა იმას ვერ ვიტყვი, რომ ნებიერობა დამკლებოდეს. როცა სიცივეა ზაფხულში—პერანგა. ვგორავ ხოლმე ჩეროში და ზამთრობით, სიცივეში ბუხარს ვუზივარ ასე.

ბეჟ. ნეტავი შენ!.. მიტომაცა ხარ მაგრე შენახული!.. შენ ხომ ათი წლითა ხარ ჩემზე უფროსი? აბა ერთი შემოგვხედოს ვინმემ, თუ მე უფროსი არ ვეგონო!.. ეჰ, ან ასე რათა ვარ. რაც მე წვალემა გამომიცლია?

ვახ. წვალემა!?

ბეჟ.—ჰო! წვალემა... გაქირვება!.. შენ რომ ზაფხულში ჩეროში ჰგორავდი და სიო დაგქიქინებდა, მე იმ დროს, ვინ იცის, იმ პაპანაქებაში რანც-მოდებული, მივდიოდი აღმართში და ვიწურებოდი ოფლში!.. იმდენი წელიწადი იცაცხლე, რამდენიც მე ამისთანა ღამეში, და კიდევ უარესშიაც; გარეთ ვგდებულეოა მშვიერ-წყურვალე.

ვახ. ეგ როდის?

ბეჟ. როდის და სამსახურში რომ ვიყავი.

ვახ. მაგიერათ, შე დალოცვილო, კაი კაპიტანი ხარ, მაგერ!

ბეჟ. რას მიკეთებს მერე ეს კაპიტნობა?

ვახ. როგორ თუ რას გიკეთებს? ხალხში გა-
მოსული ხარ, პატივცემული და ბევრის ნანახი.

ბექ. ნანახი თვარა, მე შენ გეტყვი რომ-
პაპასთან ვატარებდი დროს!.. ხან იქით და
ხან აქით დავუყოლობდი დაღესტნის მთებში!..
ვინ უნდა მენახა? მთებს შენც კი უყურებ ავერ.

ვახ. კი, მაგრამ სამსახურში ყოფნა მაინც
სხვა არის.

ბექ. რა დაგიჯინია ეგ სამსახური, სამსა-
ხური? ოცდა ათი წელიწადი ვეყოლე, ჰამა
არ მქონდა ჩემს ნებაზე და სმა! და რა გამო-
ვიტანე? ნიკრისის ქარები, სხვა არაფერი!..

ვახ. პენცია?

ბექ. შვიდ თუმან-ნახევარი წელიწადში,
გინდა ყოფილა, და გინდა არა!.. ვადაშეკიდა
ი მამა ოხრის შვილი, პოლიკის კამანდირი: ხან
აქეთ მიკრავდა თავს და ხან იქით. სულ ტყეს მანე-
ხიბდა, თრევაშ წელში გამწვიტა. ვიფიქრე:
აქ დარჩენა ჩემი საქმე აღარ არის მეთქი.—
ჩემი ანგარიშით საპენსიო ვადა გათავებული
მქონდა და შევიტანე ასტავკა.

ვახ. მერე?

ბექ. მომიღვეს ხრიკი. ორი თვე ვაკლია
და არ გერგებო! ვერ მიიღებ სრულ პენსიასო.
მას შემსარულებივით ეგ დანაკლისი ორი თვე
მეთქი!.. მაგრამ ვინლა გამცა ხმა? ასტავკას
დაბარუნება აღარ შეიძლებოა. ამომამულებიგს და
გამომისტუმრებს ასე.

ვახ. კი, მაგრამ ხათრი და პატივიცემა
მაინც მეტი გაქვს! რალა შორს წაივდე? აი, ამ
დღეებში, რომ დაიარა სოფელი დამსჯელმა
რაზმმა, შენს სახლში ვერ შეიშებდა. ავიარა
გვერდი და მე კი პირდაპირ მომადგა: „ამ სო-
ფლიდან მოძრაობაში გარეული ორი გვემალება
და, რადგან არ გვაძლევთ, უნდა ცეცხლი წაგი-
კიდლო, დაგწვით“-ო! ბიჭო! მე რა შუაში ვარ
მეთქი? ძალაც თქვენს ხელშია და ბატონობაც
მეთქი. წადით და მონახეთ! მე რას მერჩით
მეთქი. მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ვერა შევა-
გონე რა, სანამ!..

ბექ. სანამ?

ვახ. სანამ იმათი უფროსი მუდრეგ აფიცე-
რი არ გავიხმე განზე და ოცდა ხუთ მანეთიანი
არ ვუჩიხებ! მაგრამ მაინც რომ ველარ მოვი-
შორე ყე. სანამ ბედელი არ გააღეს, რომ
ყველაფერი გამოეტანათ და მარანში არ ჩა-
ვიდენ...

ბექ. მარანშიაც ჩაივინე?

ვახ. ჩაივინე, მოახდევინეს ოცდა ათ კო-
კიანი, მოუსხდენ ქვევრის პირსქადა სვეს და სვეს!
ხელოსანს ორშიმო მიეწოდებია და თავზე გა-
დაემტვრიათ მისთვის—ეგ რათ გვინდაო?

ბექ. ამა რით იღებდენ?

ვახ. გაიძვრეს თურმე, ი მაღალ ყელიანი
ჩექმები რომ აცვიათ, და იმათი იღებდენ, სა-
ნამ არ იჯერებს გული. რაც დალიეს—დალიეს,
რაც არა და გააუწმინდურეს ბ გაუღდენ გზას.

ბექ. არ გიჩივლია?

ვახ. მეორე დღეს გადავიდა ჩემი ალექსანდ-
რე უფროსთან დ უთხრა ყველაფერი, მაგრამ!..

ბექ. მაგრამ რაო?

ვახ. ბრიყვები არიანო, აბშიკა მოსვლიათო,
თვარამ თქვენთან რა უნდოდათო? ვუბრძანებ,
რომ აწ აღარ გაბედოანო. მინავათ პოყოლუ-
სტო! თურმე რომ გადაეგებუტეთ, მაშინაც ასე
მეტყუოდენ: „მინავათ პოყოლუსტო!“ და ამითი
გამითავებდენ საქმეს.

ქალ. ხმა (გარედან) ცეცხლი! ცეცხლი! წა-
უკიდეს სახლს. (წამოგვიანდუბანს) გვიშველეთ,
ვინ ხართ ქრისტიანი!

ბექ. და ვახ. სად გაჩადა? სად?

ალექსანდრე (შეშოაქვრებს) რა ამბავია, რა
ამბავი?

ხმა (გარედან) მიშველეთ, მიშველეთ! ნუ
ამხლით ნამუს!

IV

იგნივე, ალექსანდრე და დათია

დათია. არაფერია, არაფერი! გადარჩული
ყვირის.

ყველა. ვინ გადარეული?

დათ. წვერბის ცოლია!.. ამას წინათ მი-
ვიდნენ ყახახები, სახლი დაუწვეს და ეგეც იმდენ
ხალხში გააუპატიურეს ძალივით... ვადავარ-
დნილი შვილი რომ გყავს, სად იმალება, რად
არ გვეტყვიო... გადართა და მასუკან აგრე
დაღის გივით. ხან ერთს შეუვარდებია ეზოში
და ხან მეორეს და სულ მაგრე დიძახის. აი
დასწყველოს ღმერთმა, საიდან სად მოსულა აქ?

ბექ. ჩვენ კი გულები გადმოგვიტრია-
ლდა და!

ვახ. მეც ისე მგონია, თუ ამ სასახლეს
წაუკიდეს ცეცხლითქო.

ალექ. ოჰ, უბედური! (დათიას) რა გაცი-



ნებს? თუ ღმერთი გწამს, ღამე გაათევინე! ამისთანა ამინდში ნუ გაუშვებ!

დათ. ბაწრითაც რომ დაბათო, გაჩერდება? ეგ სულ მაგრე დაწინაწლობს მთელი ღამე. ახლა წასული იქნება... აქ კი აღარ მოიცილიდა.

ალექ. წადი, ეგები დაეწიო... ნუ გაუშვებ, თუ ღმერთი გწამს!

დათ. ახლა იმას უნდა გამოუდგე?

ხმა (გარეაქსი) ცეცხლი, ცეცხლი!! გამიშვით, თქვე ძაღლებო. გა...

დათ. — ეჭ, საიდან იძახის... (ბეჭის) თქვე წნას ჩასულა.

ბეუ. ცოლშვილი არ შემომინოს, ჩაირბინე ერთი!

დათ. არა, დიდხანს არც იქ მოიცილის. ერთს დაიძახებს და გაუდგება გზას.

ალექ. შვილი სადღა არის მაგისი?

დათ. აფრასიონი? ვადავარდნილია, ტყეში იმალება. მოუყრია თავი სხვა და სხვა ვადავარდნილებისათვისაც და აღარაღის ზოგავს: არც მტერსა და არც მოყვარეს.

ვახ. ასე გაუკითხავათ?

დათ. მე ვინ გამიკითხა, რომ მე სხვა ვაკითხოვო? სახლი აღარ მაქვს და კარით. ოჯახი ნამუს-ახილი და მეც სასიკვდილოთ დამდევნო.

ბეუ. შენ რა იცი მერე? სად გინახავს?

დათ. როგორ არ მინახავს? ორჯერ მოვიდა ჩვენ სოფელში, ხარჯი წაიღო.

ვახ. მერე, ვერ დაიჭირეთ?

დათ. მოდი და დაიჭირე!.. თან ჯარი ჰყავდა დაიარაღებული და მარტოც რომ ყოფილიყო, ხელს მაინც არავინ ახლებდა. გლეხს არც არავფერს ის ეარის და არც გლეხები ერჩიან! (მორადან მოასმის წაფლ-კაფლას ხმა)

ბეუ. ჩუ, ხმაურობაა სადღაც! (ეჭვანად მიგვედგებიან ფანჯარასთან და უფრს უგაღებენ)

ვახ. ქალების ხმაა, აღბათ ვინმე მოუკვდათ.

დათ. არა, ამ კვირაში სულ მაგრე! ვისმეს დაეცემოდენ ასაკლებად, ცეცხლს წაუკიდებდენ და ის იქნება.

ალექ. მართლა!.. აი ციკლე მოსჩანს ცეცხლი, ჩვენს პირდაპირ გაღმა იწვის ვიღაც.

ბეუ. მერე და ამისთანა დროს როგორ იწვის, ასე ბღლიალ-ბღლიალი რომ გააქვს?

ბეუ. ხის შენობაა?.. მერე იმათაც იციან

ხერხი: მისხამ-მოსახემენ ნათოს და მერმეთ მისცემენ ცეცხლს, რასაკვირველია, აბღლიალდება.

ვახ. ცოლ-შვილი? სად უნდა წაიღდენ ამ სიცივეში? ზაფხული რომ იყოს კიდევ ჰო!.. ტყეში მიიშალეებიან.

დათ. ცოლ-შვილს რას დაგიდევენ?!... ისენიც სადმე მუზობლისას შეიფარებენ თავს. ნეტავ ვინ უნდა იყოს?

დათ. (გაიხუდავს) უჭ, ეგ დარადის სახლია! ვაი უბედური.

ალექ. რას ერჩიან?

დათ. ვაკეთებული გლეხია და ისენიც ამოარჩევდენ.

ალექ. რათაო?

ბეუ. ტყვილა, ისე, რომ ხალხი შეშინდეს! ეჭ, ჩვეუც ბევრი სოფელი დაგვიწვავს დაღესტანში.

ვახ. მოდი და ნუ შეგეშინდება შენ... ესეც შენი ახალი მოძრაობა!.. (გამოაბრუნდება თავის ქაქეათ)

ფ ა რ დ ა

ჩემი ჰანგი

(ეჭვანად ზ. ნანცაქსი)

სულის ქვითინი... ცრემლების ფრქვევა, დაღაზრულ გულის მწარე ტკივილი; სატრფოს გოდება, ურვა-წუხილი, ფიქრით მოკლულის დრტინვა-ჩივილი; ცილის წამების უშუქო მსხვერპლის ბედის ყვედრება გულჩაობრობილი; ნამუს-ახილის ქალწულის სულთქმა, ზე-კაცის რწმენა კიტხულ-გამობილი; მებრძოლთ საფლავთა უტყვი ღაღიდი, მრუში ტრფიალი სატრფო-მიჯნურის; შებღალვა წმიდა საწირავისა, უღომობელობა მტრობის და შურის, ძაღვდ ჩამოვქენ და საგოდებელს ჰანგად დაფუდე ჩემს ჩანგს მკენსარეს... მოვსტკეამ და მსმენელს ჩემის გლოვისას გულში ვუღვივებ ცეცხლსა მგზნებარეს!!!

კიკნა-ფშაველია

* *

ვიშ, სიყვარული.

რა კარგი იყო, როგორი წმინდა?! თვით
 მთის ანკარა წყაროც კი ჰკარგავდა სიწმინდეს
 მის წინაშე.

ვიშ, სიყვარული!

შხის ოქროსფერ სხივებზე უფრო ბრწყინ-
 ვალე იყო. თვალს იტაცებდა.

ვიშ, სიყვარული?!

ნაზი და ნარნარი, ჰაეროვანი და მსუბუ-
 ქი, ლამაზი და მშვენიერი!

იყო ასეთი!

ყოველი სულდგმული მისკენ მიისწრაფ-
 ვოდა, თაყვანსა სცემდა, ღმერთად სახავდა!..

და იყო განყენებული ასეთი სიყვარული...
 ხოლო ეშმაკურ გონებით აღქურვილმა კაცმა,
 რომელიც მსუნავათ ყველას და ყველაფერს
 ეპოტინებოდა, მოინდომა სიყვარულისაც მისა-
 კუთრება.

შორით დაუწყა ფარისევლური აღერსი,
 აღერსი რომლითაც თვით ღმერთიც-კი მოი-
 ხიბლებოდა!

და დიახლოვა კაცმა ეს სიყვარული...
 თვისი ტლანქი და უშნო ხელი ქუჭკით, გა-
 სერლი, გარს მოახვია ნახსა სიყვარულს...

გააყრეოლა მსუბუქ სიყვარულს! და კაცმა
 კი, რაკი ხელი იგდო და საკუთრებად მიიჩნია,
 იწვლით გაზუზუნებულ ქონიანი ტუჩებით ტლან-
 ქად აკოცა მის ლამაზ ტუჩებს...

ვიშ, სიყვარული! ფერი იცვალა! თით-
 ქოს თვისი დღეში არც ყოფილიყოს ისეთი,
 როგორიც იყო იგი წინად—ამ მომაკვდინებელ
 კოცნამდე... და... გაიმურა. გაქუჭკიანდა,
 დამძიმდა და უშნით გასუქდა და დეშვა ტა-
 ლახიან წუმბეში, გარყვნილების უფსკრულზე
 იდესილად წმინდა, ხოლო ახლა-კი მახინჯი
 და გამურული!..

ვიშ, სიყვარული!

ვანო ბარველი

ინგილოური ლეგენდები

2

თავების ციხე

სწორედ მეორედ მოსვლას მოგაგონებდათ
 შახაბაზის შემოსევა საინგილოში, არაფერი
 მის მსგავსი არ გამოეცადა და ენახა ამ ტურ-

ფა ქვეყანას. მთელი მხარე ცეცხლის აღში
 იყო გავხეული, იწოდენ მთელი სოფლები,
 იწოდა სახლ-კარა, ავეჯუელოდა, სარჩო-საბა-
 დებოდა, ბალ-ვენახები, ყველგან კამაღისა და
 ცეცხლის უღმობელი ხელი ჰარაზაშობდა, მათი
 ალები ზეცას ებჯინებოდა და წითლად ღებავ-
 და ცის ტატნობს. დიდებულნი ტაძარნი ტურ-
 ფა საეანენი მწირ ბერ-მონაზონთა შებლაღულ-
 შებილწულნი ნანგრევებს-ლა წარმოადგენდენ.
 ერთს დროს მიუვალნი ციხე-სიმაგრენი კიდევ
 მტრის უღმობელს ხელს სრულიად დაერღვია
 და შეეშუსრა. ყველგან დახოცილთა, გვე-
 მულთა და დაყოლილთა გვაგები ეყარნენ,
 ჰაერში საზარელი სუნი ტრიალებდა უბატრო-
 ნოდ დარჩენილ მკედართა, რომელთაც გაუ-
 მადლარი ყვეა-ყორანნი თავზე დასჩხავდასტრია-
 ლებდენ. კენესა, ტირილი, ოხვრა, გოდება
 გაისმოდა კიდით-კიდემდე, ბედშვ ხალხის მწუ-
 ხარება ზეცას სწვდებოდა, უფლის მადლს ეპ-
 კურებოდა, მაგრამ მტარვალ შახაბაზის ღვარ-
 ძლიანსა და გესლიანს გულს ძერასაც ვერ
 უშერგებოდა. უსაზღვრო იყო შახაბაზის მის-
 ხანება, აღარაფერი არ დარჩა შეეშუსრავი,
 შეუბილწავი და პირქვე დაუმხოველი, ყოვე-
 ლივე შთანთქა მტრის შეუბრალებელმა და გაუ-
 მადლარმა ხელმა. მტერს სურდა ქვა-ქვაზედაც
 აღარ დაენარჩუნებინა მთელს საინგილოში და
 ისე გაენაცარმტვერებინა მთელი ქვეყანა, რომ
 ქართველის ქაქანებაც-კი აღარა ყოფილიყო.

შახაბაზი ღღესასწაულობდა, ხარბოდა და
 განცხრომას ეძლეოდა. წადილი აუსრულდა,
 მთელი საინგილო განიორწყლებული, აკლებუ-
 ლი და აწიოკებული, მის ფერხთა ქვეშ იყო
 გართხმული და სულ-ამოხდილი. საინგილოში
 ქართველთა ხსენება აღარ დარჩა, ყველა მოი-
 დნო, ინაცვალა და თავს შემოვიღო უღმო-
 ბელმა მტრის ხელმა. ჰიგანტთა სამარეს ემსგავ-
 სებოდა მთელი საინგილო, სამარისეური სიწუმე
 ჰსუფეფდა ყველგან და მხოლოდ აქა-იქნადირთ
 ღმუილი-ლა თუ არღვევდა გამეფებულს მღუ-
 მარებას.

მაგრამ არა, ჯერ კიდევ ყველანი არ ენა-
 ცვლებინა შახაბაზს. სოფელ ფიფინეთის მახ-
 ლობლად დაბანკებულს მის მხედრობას თან
 ახლდა 40 ათასი ტყვე ინგილო, რომელნიც
 ჯერ კიდევ არ გამოესალმებინა სიოცხლეს.



დიად, ჯერ კიდევ არ გამოესალმებინათ სიკოცხლეს, რადგანაც შახაბაზს უნდოდა მათის ნეშთისაგან ძეგლის აგება ნიშნად თავისი ძლიერებისა, ნიშნად საინჯილოს აკლება-აოხრებისა და მის დედამიწის ზურგიდან აღვისა. უნდა აეგო ძეგლი არა ჩვეულებრივი და უმაგალითო. შახაბაზს გადაწყვეტილი ჰქონდა ტყეეთათვის თავები დაეყრევივნენ და მათი თავებისაგან ციხე აეშენებინა მდინარე ფიფანის მახლობლად და მით უკედევ ეყო თავისი სახელი და ხსენება.

თქმა და ასრულება ნათქვამისა ერთი იყო. ჩქარა მდინარე ფიფანი მოწამე გახდა არა-ჩვეულებრივის ბარბაროსობისა, მისი ანკარა, სპეტაკი, მთლად ქაფად გადაქცეული თეთრი ზვირთები წითლად შეიღებენ და მოიწამლენ. მის ნაპირს მწყობრად ჩამწყრივებული ჯალათნი მარჯვედ იქნედენ ცულეებს, თვალის დახამამებაზე თავი ცალკე გორდებოდა და სხეული კიდევ ფართხალით მეორე გვერდზე წყლისაგან მიგორავდა. სისხლი ღვარად მიდიოდა, სხეული წყალს მიჰქონდა, სძირავდა და შორს-შორს თავის წიაღთა შორის უწინარს უფსკრულებში ჰმალავდა და ქვეყნის თვალს აშორებდა. სისხლში მოსვლილი, თვალმდ დახუტული ტიალი თავები-კი გროვა-გროვად მიჰქონდათ მდინარის ნაპირზედ ამართულ პატარა გორაკზე დაეგმილ ციხის ასაშენებლად. სადაც შახაბაზისაგან დაყენებული კალატოზები არა-ჩვეულებრივ კედლებს აშენებდენ. კედლებს აშენებდენ დაამიანთა თავებისაგან, თავები ქვის მაგიორბასას სწევდენ, ცრემლები და მწუხარება ხალხისა კიდევ კირის მაგიორბასას.

ტყვეთა დენას დასასრული არა ჰქონდა, წყება-წყებაზე მოჰყავდათ, ხელზე-გაკრულნი, შიმშილისაგან მიხრწნულ-მისუსტებულნი, უსიტყოთ ემორჩილებოდენ თავიანთს ბედს.

აგერ ახალი წყება მოიყვანეს, ტყვეებს წინ მოუძღვით ასწლოვანი მოხუცი-ბერი ბეღაქანის ღვთის შშობლის სავანისა. მარჯვედ და უშიშრად მობიჯებს სათნოებისა და შშვილობიანობის მქადაგებელი, ხალხის ვაებას, ჭირს და ვარაშს ისიქჩაუთრევიდა. მცოვანს მოხუცს, მთლად თეთრად გადაჰეტრის, თმა-წვერში სიბერისაგან ყვითელი ხავის მოჰკიდებია, ჩანაოქმებული სახე გარკინებია, მაგრამ გული ჯერ

კიდევ ყმაწვილურად ერჯის და თან უშველებელ ყაფარჯენი მოაქვს 15 წლის ახალგაზრდასავეთ.

მოვიდა, მაგრამ ჯალათების წინ-კი არ გაჩერდა, არამედ პირდაპირ შახაბაზისაკენ გამართა, მდბლად დაუკრა თავი, წელში გასწორდა და გაბეზულად მოახსენა:

— იქმარე, შახაბაზო, ამოდენა უდანაშაულო ხალხის სისხლი, ღმერთი გადღეგრძელებს და ჯანსაღს გამყოფებს.

— დიდებულს მბრძანებელს ირანისას ვინ ჰკადრებს მიგდენ კანდიერებას, დაიღრილა შახაბაზმა. ჯალათნო! როგორ გამოგვარავიათ ეს უსჯულო ნადირი, ჩქარა თავი მოჰკვეთეთ და ნიშნად სასჯელისა ძაღლებს გაღუგდეთ მაგის გვაში.

მისცე მისცივიდენ ჯალათნი, ურჩი მოხუცი კინწის კვრით წინ გაიადეს, შეუკრეს ხელფეხი, დასცეს დედამიწაზე და ცულეები დაუშინეს. მაგრამ ამაოდ, გარკინავებული სხეული მოხუცისა ნაფოტისავეთ ისროდა ცულსა და მოხუცი უვნებლად რჩებოდა. მრისხანებდა შახაბაზი, კბილებს აკრაქუნებდა, დორბლებსა ჰყრიდა. ბრძანება გასცა ფიტლავ ცულეები გაეხურებინათ და ისე დაეშინათ მოხუცისათვის.

საჩქაროდ რავდენიმე გახურებული ცული დაუშინეს ჯალათებმა მოხუცს და თავი სხეულს გაჰყარეს. გახურებულმა ჯალათებმა მსწრაფლ ხელი დასტაცეს მოხუცის თავს და კალატოზებს გადაუდგეს კედელში ჩასატანებლად. თავი სხეულს გაჰყარეს, მაგრამ ამით შახაბაზს წადილს ვერ მოახწია. კედელში ჩატანებული თავი მოხუცისა არ გაჩერდა, თვალში ზეკისაკენ აღმართა, გრძელი წვერი შეაკანცარა და ხმა მალლა ლოცვას მოჰყვა. ყველა მიწმნარდა, სმენად გადაიქცა და გაფაციცებით ციხის კედელზე მდებარე მოხუცის თავისკენ გაიხედა. მოხუცის თვმა ლოცვა გაათავა, ტოკვა დაიწყო და სამჯერ გადმოიყვირა:

— იქმარე მტარვალო, იქმარე ჯალათო! გახსოვდეს, რომ მალლა ზეკაში უნებ ძლიერი ღმერთთა და მიგდენ უდანაშაულო ხალხის ტანჯვასა და სისხლს არ შეგარჩენს.

ცამოიქუშა, ჭეკა-ქუხილი წამოვიდა, მიწა შეინძრა, ჯალათებს ცულეები ხელებიდან გასცივდათ, ტყვეებს შეკრულ-შეგოჭილი ხელები

გაეხსნათ, ნახევრად აშენებული თავების ციხე ჩამოინგრა.

შახაბაზი შედრკა და შეძრწუნდა, ბუნებისა და მოხუცის მრისხანებამ შიში დაჰბადა მის გაქვევებულს გულში, მოღბა, მოიტეხინა და ფიცხლავ ბრძანება გასცა:

— განათვისუფლეთ ყველა ტყვენი და ნება მიეცით დაუბრუნდნენ თავიანთს სახლ-კარსა და ადგილ-მამულს.

გადარჩა საინგილო სრულიად ამოვარდნასა. ტყვეები ცას დაეწივნენ და მადლი შესწირეს უფალსა და მოხუცს წმინდან ბერს და ის ადგილი, სადაც სხვებთან ერთად მათი მხსნელი წმინდა ბერის თავიც მოჰყვა, წმინდა ადგილად ჩარაცხა ხალხმა. მას შემდეგ ბევრმა დრომ გაიარა, ბევრმა ქვეა-ქუხილმა და გრვეინვამ დაჰპერა კიდევ საინგილოს, მაგრამ ხალხის ხსნოვაში ღრმად ჩაბეჭდილი მოხუცის ამბავი არ აღმოფხვრილა. დღესაც მადლიერნი ჩამომავალნი ყოველწლივ მიდიან ამ წმინდა ადგილს, ლოკულობენ, მსხვერპლსა სწირავენ და მადლობას უხდიან იმ წმინდა ბერს, რომლის წყალობითაც საინგილოს ქართველობა გადარჩა სრულიად ამოვარდნასა და გაქრობას.

ზ. ელიო



მოვადრო

დედამიწის ლაფიან ზურგზე, შეხუთულ შხამიან ჰაერში, შავ-ქაელით გადახორათულს ბადეში ცოცავენ ადამიანის მსგავსნი პირუტყენი, უმიზნონი, გრძობა-დაოსებულნი, შიშველნი, ბინძურნი!..

გარს წყვილიდა, სინათლე დახშულია!..

ხანდისხან ბნელეთში მშვენიერებით, თავისუფლების სურვილით აღტურვილი, ხალხის გოდებით შექმნილი, ბრწყინვალე ანკარა ცხოვრებისაკენ გატაცებული, ფაქიზი, მდიდარი სული გამოაშუქებს, ციკინათელასავით დაფრინავს წყვილიაღში, გზას იკვლევს, ოდნე ანათებს წუთიერ გაბრწყინვებით, ფრთებს შემოპკრავს, აფრინდება, სურს მადლიოდან შავი ქვეყანა ნაპერწკალის ნათელით მინც გააბრწყინოს,

ადამიანის გაბრწყინილი სული და მისგან შექმნილი დახვესებული ტბა გააშუქოს!.. მაგრამ გარს შემორტყმული ცხოვრების დაბლანდული ქსელი იხვევს თავის მახეში...

სისხლ-მსმელნი, ხარბნი, გაუმამძარნი ობობანი უღებენ ბოლოს!..

როცა ცაზე ღრუბლები თავს მოიყრიან, ელვა-ქუხილი მიმოანათებს, ქვეყანს დაბლანდულ ქსელში გახვეულთ შიში იტაცებს.

სასოება, სინდისი მხოლოდ მაშინ ეღვიძებათ, მაშინ გრძობენ სინანულს, რომ ქსელი დაირღვევა და ბინძურ ქვეყანას სინაოლის სხივი მოხვდება! მაგრამ ჯერ არ დაუქვენია, არ დაუქუნია...

დრო-კი მოვა, ძალა განცხოველდება, ჰაერი ანდამატური ძალით გაიძლინთება, იქუხიკრიალებს, ელვა განუწყვეტლივ დაბასრავს და გრიალ-შხუილით ფოლადის მსგავს სეტყვას დაგვაყრის!..

მაშინ ქსელიც დასწყდება და მისი შემქმნელიც გაისრისება!..

მერე, დიად ბრწყინვალეობით, მზე სხივებს დადოვტყუორცნის და მონებს, სულით მხდალთ ნეტარ ცხოვრების გზას დაგვანახებეს!.

გიორგი ფოცხოველი



ქართველ ასაღებურდა პოეტთა ბედი

(მ ც ი რ ე შ ე ნ ი შ ე ნ ა)

რადეჩა ობოლი მარგალიტა ჩვენს ზოქიანის დარგში ჯერ კიდევ შეუმუშავებელი, მაგრამ მანსე ძვარფისი მომავლის შქანზე, და შესაძლებელია მათას სსხელით ოდესმე კიდევ იამოყოს ჩვენსა ღარაბაშა დაიტერატუნა. მაგრამ რა გეგნათ ამ მდგომარეობაში იშუება რამე? აიასიჟრას სთქვეს და მეტ ვიტუვა, არა გვეყვს კრატეოსი და ისინი, რომელნიც ამ სსხელს ატარებენ, რადან ბუნდაფანს ხლართში ეუმბიან. მათი სუფარა კრატეკა კი არ არის, რომელსაც უნდა ვერწმუნათ, არამედ ერუ ამოძახადა ამ სიტუეებისა, რასაც ჩასძახებს მას ერთი მხარე სრულიად უგანონად და შეუსაბამად.

აბა, რა უნდა გააკეთონ ჩვენსა ზოქტუბაში ამ გვარ მდგომარეობაში? მთი არ აძლევენ გზას, სი-



ნათლეს... ზირ-ჟიუნელად არ ამქელენ მათ ცრადვეებს და ხლართო ხლართადვე რჩები.

ეს გზა, რომელსეულც ძველი ჩვენი ქერუმი ზოტეტი მიადილდენ, სრულად შეუსაბამოა დღე-უხდელ მდგომარეობას: განხლეს გზა ძრული ძველებმა, ახლ გზასე ახლდგზრდებმა უხდა გზა-ართან; მგრამ სდ არის ეს ახლი გზა? რე თუ დღეობი წაჟუგნსნათ ჩვენს ახლდგზრდ მგონისს და მიჟუჟიათ თავის სებაზე, რდ მათ მიჟაწინებათ ისა სწორთ და მკითხველები-კი სდლდღე კუწკულში მიჟმდლთ? რსდკვირეულა, ამითი მე იმისი თქმა არ მინდა, რომ ზოტეს ჩვენს სებაზე გჟღერებინათ ჩნგე. ზოტე—ჟეჟინის არ იეს—თვითთ არ-ჩვენს ახრთ თავის სიმღერებისთვის, ბრმოს არჟე-თართი უფლებ არა აქვს მის შემოქმედებაზე... მგრამ ეს კადვე იმს არ ნაწნავს, რომ უველადიერი ცრული უთოდ უნდა მოჟწინოს მკითხველს ზოტისა. ზოტის სიმღერა თვით მსმენელის გულს სიდრ-მიდნ უნდა იჟუგნს ამოღებული, ამისდა შეჟერდებით კადვე მალაი იდგვლების მქადებელი. უამისოდ ეს სიმღერა გარგავს სერითო ურდდებამ და მსისი-ურ-მნიშვნელობას, წარსულ საჟუგნეში ამ გვარად შესრულეს თავანთი მოწოდება აკაკიმა და ილიამ დალდ, ამითი ნაწერი სერითო გულის დღეაღობა ქართულთა ცხოვრებას მეტრნომეტრ საჟუგნეში. გადგდგით იგები მჟოტე საჟუგნეში. ცხოვრებამ ცოტად თუ ბეჟრად წინ გავწია, მკითხველი ახლს ექის. ახლი ვერ უბოვია, ის, რსდღე ჩვენი ახლან-დელი ზოტეტი გვწოდებენ, დიდი სნიდნ ნათქვამი და გამოქვეყნებულია, და არჟეთარ მიაბძე-განმჟო-რებს არ სჟაროებს.

როგორ უნდა შეჟერდგეთ იმ ახრს, რომ ისეთი ნიჟერი ზოტეტი, როგორნიც არან ია-სამანი, შანშიაშვილი, ბაბილინი, გ. ქუჩი-შვილი, ი. გრიშაშვილი, გ. ტაბიძე და სხვე-ბი, იმვე მდარეზე იქმნებან სვლან, რსეზდნ დღეს არან. მწარე იფართ, რომელსდ უოკელი ზოტეხის მიჟგერული ადამანი უნდა ჩუჟეჭრდეს.

ხოგეთარ ახლდგზრდ ზოტეს უვემ თავ-დალმ დაჟმეულსა გგედავთ; ისინი ის მზე კი არ არან, რომელიც მსლე უნდა ჩჟქრეს, გჟერწინებულად. ვგედავთ აგრე, მგრამ გო-ნება უფრო მახეაღად სწრის, მიეგით მეტი სხრდო მათ, თუ კი ძღვდით, და სწრეად იფრთას გაშლიან სულ-შესუთული ზოტეტი.

არ შეასუმეჟუგნის განა მათ მდგომარეობას ის ცრულია, რომ ურნალ-გაგეტეში მეტი ადგილი დაეთმობადეს ურსოდ ახლ მიმართულების ზო-ეტთა განხლავს. სსამისო მსსლდ სკამთად მიოდიე-ნება უველგან. ზარდელი ურსოელთა და ქართულთა ცხოვრების ცოტათი ნთელს მიჟეგნის იმ განსხვავ-ებებს, რომელიც უნდა არსებობდეს ურსოსა და ქართულ ზოტეხას შუა. ამგვარად მინდ შეეიტანთო წველიი ჩვენს ზოტეტიან დახელეოვნებაში, სსამი რომელიმე ბედლისე არ გამობრწინებია, თუ შეი-ძლებას ასე ითქვას, ჩვენს გრატეულ უგრატეო მდგომარეობაში. ბედი ქართულ ახლდგზრდ მგონ-სების სსხ-განსმელი ურჟეგეო ბედა.

ნარი



* * *

შემოგნქროდი... ნეტრებთ იესებოდ ტან-ჯული ბული, შენს შექებას მე ვგნქრდი ადტანბული, შენ ვდმერთებდი, გლოცულბდი მუნდმობრეკელი და შენგნათ ტუჟდ-ქმნალს გულს გეონე ცთი მოგ-
—
ლქინბი.

შენს სიტურეჟეში მე გგედავდი დაილს ძალს, დაილს სულს—სრულს უოელს სსონობითა, იმედ-მისდელი, განწირული ცრე სწუთონგან, შენ შემოგნქრდი განუზომელ სსონობითა!

დავბე: დაწიეეე, ურ-ჟეჟი ამ ქვეუნდ უველს, მთაც ურმეჟეს და განმდგენს, არა ვნდვლობდი, შენს თვალბში მესტოდნ ცა და ქვეუნს, გემონებოდი, შენთან უოელს მსოლად უნატრობდი!..
—
||თილს

შენშიც მიგეტრეჟდა... ებ სიტურეჟე თურმე უო-ტრძეულთა მსე, კცნათავის დამზადებული, შენი დამბლი, ებსომ ტეპილი და მომხიბლავი, თურმე უოთილს სსწამლავი შეხეებული!..
—

მშეაღობით ტურეჟე: წიეულ იესი შენი მშეჟებას, თუ შეგბის ნდვლად კაცს მოჟტან ტანგვა-გავბას, თუ ჟერ მიჟხიბლავ, მიატეჟუე შენი მშეჟებით, მერე ბელს სსმეჟ, თავს მიახვეჟე ოხვრ-გებას!

შორდება.

მშვიდობით ტურფავ! დატვირთე შენც და გავ-
მავრამ სიფლავიანი და მტანჯვეს მის მოგონებას,
რომ სხვა შეგონე, სხვა გამოსდგე, შე-ე-ე მამაჩნდა
სულის სარკვე გარეგნული შენი მშენებ!

სევლა



ლიქცია

(გაგრძელება. იხ. „თეატ. და ცნობ.“ № 21)

მოდელი ვარჯიშობისა. აი ზირველი მო-

დელი ვარჯიშობისა, რომელსაც გვაძლევს ცნობილი
ფიზიოლოგი ერნესტ ბოსე თავის შესანიშნავ „სუნ-
თქვის წიგნი“-ში (Ernest Bosc, Le Livre des
Respiration, გამოცემა Chamuel). „ჭური იმდენად
უნდა შეისუნთქოთ, რომ თქვენი ფილტვები კარ-
გად გაუოსოს. ზირველადვე ამის მიხვეჭა, რასაკვირ-
ველია, ძლიან მსელა, და მხოლოდ რაფაქნიმე
ხნის სისტემატური შრომის შემდეგ მიაღწევთ. აი
როგორ უნდა იმუშავოთ. შეისუნთქეთ ჭური, ზირ-
ველ ხსენებში მარტო ექვსი წამის განმავლობაში,
ე. ი. შეისუნთქვის დროს თვალეთ (გუნებაში, რას-
კვირველია) 1, 2, 3, 4, 5, 6. დათვალეთ ამდენ-
ნივე (1, 2, 3, 4, 5, 6) შესუნთქებულის გან-
ხერხებად. ე. ი. მინამ ხელ-მოთრედ ექვსს არ დას-
თვალეთ—არ გამოსუნთქოთ, შემდეგ, როცა ჭური
განურებული გექნებათ თქვენს ფილტვებში ექვსი
წამის განმავლობაში, **გამოსუნთქეთ**; ექვს გარე-
შე, რომ ამ გამოსუნთქვასაც ამდენივე დრო უნდა
მთავნართო (ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვ-
სი). უურადლებს მთქვეთ, რომ ასე არ მთხდეს,
როგორც ძლიან ბევრს ემართება: შეისუნთქავენ,
მავალითად, ექვსი წამის განმავლობაში და გამო-
სუნთქავენ ხოლმე ხუთი ან ხუთივე დროში. რადა
თქმა უნდა, რომ ზირველ ხსენებში მსელი აქნება,
მეტადრე გამოსუნთქვა, მავრამ თუ უურადლებით
ივარჯიშებთ, ძლიან მსლე ისწვლით.

როცა ამ ზირველ ვარჯიშობას გააკეთებთ,

ე. ი. შეისუნთქეთ 6 წამს, შეხერხებით ექვს წამს,
გამოსუნთქეთ ექვს წამს შემდეგ მიუმტოვო წამ-
ბის რიცხვები, მავალითად ექვსი წამის მავარად
განსლეთ 8, ე. ი. შეისუნთქეთ 8 წამის გან-
მავლობაში, შესლევით 8 წამი, და გამოსუნთქეთ
8 წამი. როცა ამსაც კარგად გაიკეთებთ, კადე
მიუმტოვო რიცხვი, განსლეთ 10, 11, 12, 13,
14, 15, რაფაქნიდ შეგუებლათ“. კარგმ მთხიბო-
მა უნდა იცოდეს თავისუფლად შესუნთქვა, შეხერხება
და გამოსუნთქვა, 25 წამის განმავლობაში ე. ი.
თვალეთ სმივე შემთხვევაში 25-მდის. ეს ვარჯი-
შობა, რადა თქმა უნდა, ეველასთვის კარგია. ს-
სურველი აქნება, რომ მინამ ასეთ ვარჯიშობას და-
იწებდეთ, კადეთ ფანჯრები, კასრეთებეთ ჭური,
და თუ კარგი დღე, შეკიძლიანთ ფანჯარა და დას-
ტოვით ვარჯიშობას დროს. ვისაც სმუალება ხებას
აძლევს, ძლიან კარგია აქნება ასე ივარჯიშოს სადმე
ბაღში, ან ეხობა, სურფთა ჭურხე. აბრეღვე, უნდა
იღებოთ გამოწამული, თავისუფლად, რადაც მთხიბო-
ლი ადამიანი თავის დღეში ვერ ჭურთქავენ კარგად
ან კადე გულადმ დასწვეთ რომელიმე სწოლხე
(უკლით). თქმა ადარ უნდა, რომ ასე უნდა
ივარჯიშოთ მძიმედ, აუქნებლად, ზომიერად, ერთ-
გვარად. ჭური (მთხიბობა) უნდა შეისუნთქოს ცხვი-
რის ხესტობით და გამოსუნთქოს ზირით, მავრამ
ზირი ძლიან არ უნდა კადოს, სკამრისთა ზირის
კალებს იმდენად რაფაქნიდ ზამრისთის ბოლის გ-
მოსმუებლად.

მეორე მავალითი: ადეთ ანთებული სს-
თელი და დაღვეთ, ან დაბრძლით, ეს იმსხვა
დამკადებელი სსთელი როგორ სდგას, შე გირ-
ჩვეთ სსთელი ასე დასდგათ, რომ თქვენმე ფეხზე
მოკიბდეთ გამოწამულს დგომ, (თუ ასე რამე
შემთხვევით ვერ მიახერხეთ და სინათლის წინ
დაჯდომამ მოგინდით, დამსლდით მალად სკამზე,
ზურგი მთაუდეთ სკამს და დაიწვეთ ქვემო აძლ-
რითად ვარჯიშობა) გამოსუნთქეთ სმიდერთი რომელიმე
სოცაკე (მავალითად ღო) ასო ა. ზირველად სს-
თელი ჩაქრება, არ ინდელით ამსზე, მავრამ რა-
ფაქნიმე ხნის შემდეგ სინათლე მხოლოდ ოდნე დაი-
წვეთ ტოკავს, თქვენც სწორედ ამს უნდა მიაღწი-
თო, რომ სინათლემ ოდნე იკანკალოს. როცა ამ
ზირველ ვარჯიშობას შეისწავლით, შემდეგ კადდით
მთელს გამსზე. ესე ავი გამოთქვით სმიდერთი ასო



ა ჯერ დონე, შემდეგ რე-ზე და აგრე ჩადით სს-
დამისისგ შეტვიდნით. რად თქმის უნდა, ეს გამის
უსუნთქელად უნდა იმდროით. ამ ორ ვარჯიშობისა-
თვის დღეში 15 წუთი სრულად სავსარისა. ცნო-
ბილიშ მისხობის დელ-სადიმ (ამბობს ლეკოვე)
მახწია იმის, რომ იმდროს ორჯერ გამის უსუნ-
თქელად ანთებულ სისხლის წინ და სისხთლე სრუ-
ლად არ ანბრედა, იმიტომ რომ იგი უშუბდა
ზირიდან მისლოდ იმდენს, რედეინც სავსარისა იყო
თვითეულ ნორტის გამოსთქმელად. რასკვერულა
დელ-სადიმ ამის უნდა არ მაღლია, არამედ ხანგრ-
ძლად სისტექტორი მუშაობით. იმუშეეთ, და
თქვეიც მაღლიეთ.

სუნთქვა კითხვის დროს. როგორც შემ-
დეგში ვნახეთ, სუნთქვა კითხვის დროს ასეა
სწორი. ერთი აზრი, ე. ი. ერთი წინადადება,
რომელმაც გამოხატულია ერთი აზრი, უნდა
გამოითქვას უსუნთქელად და ერთის ხმით.
აგრედვე თუ რომელიმე აზრის გამოსთქმელად რა-
დენიმე ფრაზა არის მოხმარებული, ესე იგი დიდი
აზრის განსვითარებლად ეყოფათვის უნდა კეთით
დიდი აზრი და იგი სთქვით ერთის ხმით, დან-
რჩენი ფრაზებზე ხმა უნდა გამოიყვანოს; უნდა
აუმაღლოთ თუ დაუდალოთ, ამავსე შემდეგში ვილა-
შარავით დავსრულებთ; ეს ახლ იმიტომ მივათუყ-
ნებ, რომ ადვილად გავით თქვით აღნიშნული შე-
ნიშვნები. ავიდით ნივთლორზ ბრათაშვილის ლექ-
სი, „შემოღებუბ მთაწმინდაზე“.

ჰოი მთაწმინდავ, მთავ წმინდავ, ადგილნი
შენნი, დამაფიქრებლნი, ვერანხა ჭ უდაბურნი,
ვითარ ჰშენინან, როს მონამენ ცვარნი
ციურნი,
ოდექ სღამოს, დამთენ ამოს, ციაცნი ნელნი!
ვითარი მამინ იღუშალობა დაისადგურებს შენს
არე-მარეს!
რა სსახავი წარუტყვევს თვალთა მამინ შენს
ტურფას სერზე მდგომარეს.
ძირს გაშლილს, დამახს, ველსა ყვაილნი
მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმინდას,
და ვით გუნდრებს სსამადლობელს, შენდა
აღმეცენ სუნთქვებთა!
მხსნოს იგი დრო სსამი დრო, როს ნალ-
ვილიანი,

გლდეუ ბუნდოვანთ, შენს ბილიკად მიმოვი-
ლოდი,
რო ჩემურ ივაც იყო მწუხარ და სვედანი.

ეშქვას კურსით დაბეჭდილია, როგორც მიჭ-
ხვებთ, არის დიდი აზრი თვითელი ტაქების და
უნდა ითქვას ერთის ხმით; გაფარნით. ავიდით
ზირეული ტაქები:

წით მთაწმინდავ, (ძალიან პატარა სუნთქვა)
მთავ წმინდავ, ადგილნი შენნი (ავითივე პატარა სუნ-
თქვა)

დამაფიქრებლნი, ვერანხა ჭ უდაბურნი (პატარა
სუნთქვა, ჯერ აზრი არ გათავებულა)

ვითარ ჰშენინან, როს მონამენ ცვარნი ციურ-
ნი, (პატარა სუნთქვა)

ოდექ სღამოს, დამთენ ამოს ციაცნი ნელნი!
(დიდი სუნთქვა აზრი სრულიად გათავდა).

ვითარი მამინ იღუშალობა დაისადგურებს შენს
არე-მარეს! (ეს არის აღტაცება; ერთის ხმით უნდა
ითქვას ტბილად შესუნთქებლივ შემდეგ ნახევარი სუნ-
თქვა).

რა სსახავი წარუტყვევს თვალთა მამინ (ძა-
ლიან პატარა სუნთქვა, აზრი ჯერ არ გათავებულა)
შენს ტურფას სერზე მდგომარე!! (ნახევარი სუნ-
თქვა)

ძირს გაშლილს, დამახ ველს ევაილნი მიჭ-
ფენენ, ვითა ტაბლას წმინდას (ძალიან პატარა სუნ-
თქვა)

და ვით გუნდრებს სსამადლობელს, შენდა
ადემეკენ სუნთქვებთა. (მთელი სუნთქვა. აზრი გათავდა)
დანარჩენი თქვენი თვითონ ისწავლეთ, ამავ
წესით. ჩადით ბოლომდის. მე გინებთ ეს ლექსი
და სსოვკადით ეუქვას სსავ ლექსები, რომელზედაც
ივარჯიშებთ, უნდა კარვად იცოდეთ სუნთქვად. ამითი
შესსიურეუბასაც განავითარებთ და შემდეგ, თუ ვინა-
ცობას სსოვკადობაში მოვინხდით კითხვა, გამოვად-
გებთ, და არ შერცხვებთ.

გიორგი ჯაბადარი

ბრიუსელი.

P. S. თუ ჩემ წერილებში რაიმე გაუგებარია
და ვინმე მოინდომებს რაიმეს ვარკვევით ახსნას, ვთხოვთ
წერილით მიმპაროთ ჩვენს რედაქციას რედაქტორის
სახელზე.



სათეატრო ამბები

სახალხო სხლი

ქართული სამაფსულო თეატრი

გამოსაცდელი წარმოდგენა. ქართ. დრა-მატ. საზოგადოების გამეგობა მოწოდინებული ქართული სცენის ახალგაზრდა ძალნი შესძინოს. სწორედ ამ მიზნით, სამშაბათს, 1 ივნისს, გაიმართა გამოსაცდელი წარმოდგენა, რომელშიც მონაწილეობდა ცხრა დებიუტანტი და რომელსაც დაესწრენ მოწვეული პირნი—მწიგნობარნი, მსახიობნი და სხ. წარმოდგენის ჰაუტმანის „მზის ამოსვლამდე“ მე-5-ე მოქ., „მეზობლები“ ტრ. რამიშვილისა—მე-4-ე მოქ., და „ვის ვაყვარებ—ვის შევეყვარე“, მე-2-ე მოქ., ვ. გუნიასი. ყველა პიესაში თამაშობდნენ თითქმის ერთი და იგივენი, რითაც მაყურებელს საშუალება ეძლეოდა ერთი და იგივე პირი სხვა და სხვა როლში ენახა და მსჯავრი დაედვა. სამწუხაროდ თითქმის ვერც ერთს ვერ შეენიშნეთ განმარტებლის ძალი. ასეთი, ჩვეულებრივი ახალგაზრდანი ჩვენს სცენას ბევრს ვერაფერს შესძლვიან. ყველაზე უკედ ეკირათ თავი და ცოტა სასცენო უნარიც შეეცოთ ქქ. წუწუნავისა და ლოლუას, არა უჭირდარა აგრედვე ქ-ნ გიგაურს.

ვაყოფან ისეთი ვერავინ შეენიშნეთ, რომ რისამე შექმნა შეეძლოთ: ჩვენს სცენას ამჟამად საშუალოზე მაღლა მდგომარე თუ არა, საშუალო ნიჭის ახალი მსახიობი მანც ეკირვება. თუ მუშაობა არ დაიზარეს, შემდგომი შეიძლება როგორმე გამოდგენ ბ.-ბ. ვანელი, ლოლაძე, და მამფორია.

მოთეატრე

აკაკის ლექცია. თხზუბათს, 2 ივნისს,

ჩვენს მსცენარს მგონისა აკაკი წაიბათს ლექცია „ქართული ანქედოლოგიური საშუაბი“. ჰატეგეგმულ ლექტორს საზოგადოება ტაშის ცემით შეეგება და მსურავლე ტაშითვე დაჯილდოვდა ლექციის გათავუბისს. სუყვრელმა მგონისმა ვაჟე სადამოს წაუკითხა საზოგადოების თავის ასალი ზოგმა, რაც საზოგადოებამ აღტაცებით მოისმინა.

კ. ფოცხვერაშვილის კონცერტი, რომელიც გასულ კვირას იქმნა განმეორებული ზუბაღ. სხსლ. სხსლში, ნამდვილი დღესასწაული იყო მუსიკის. ბლომად შეკრებილი ხალხი, ახლგაზრდა კომპოზიტორის კ. ფოცხვერაშვილის გამოდგინა-კაბეული სლოტბრო ფოხი, სუუნხოვად შესრულებული „გოგონა“, „მიუყვარს ფახს მე მეტრელი“, „მურმან-მურმან“ და სხ. აგრედვე „ბაბაბუ დევის ბრძოლა ამირანთან“, ალ. წუწუნავის-მურ მშევიზრად დადგმული ცხოველი სურათებით, სუიფელათა აღტაცებას იწვევდა დამსრე სსოგადოებში. ჩვენი სურნადას მკითხველი უკვე მოკლედ გავაცნით კ. ფოცხვერაშვილის სამუსიკო ნაწარმოებნი, ამიტომ აქ აღარ განვიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ სხსლხო სხსლში გაცნობით უკედ იქმნა შესრულებული.

ხალხს იცნო მშობლიური ჰანგი, თავისი ნატეირი მუსიკოსისკან შემოქმეებულ-მსურნელებული და გულწრფელი მადლობაც გამოუცხვდა ტაშით.

მართლ-და სულაურად მკვდარი უნდა იყოს ერი, რომ ამისთანა ნატეირ გაცნ ზელს არ უწყობდეს სწავლის დასსრულებლად.

კ. ფოცხვერაშვილს აუცილებელი მსუსიკო ნიჭი აქვს და დირსია, რომ სიმშობლო მუსიკის მოყვარული მეტი უყვადლებს მიაქციან.

როგორც შევიტყუთ, კ. ფოცხვერაშვილს სრული მუსიკალური განათლება არც-გი აქვს მიღებული, —ტექნელდა უნდა მიეცათ და ზოგაერთა ზირებმა ჩაზღეს სექსიო. ასე რომ არა უთფილიყო, სკვირრული ის იქნებოდა: წარსულში ჩვენი ქვეყანა მესურნეებამ მისიკულიდაზირა და ახლაც რომ ამ შურმავე არ გვიმსხვერზლდეს—არ შეიძლება.

კ. ფოცხვერაშვილის ბიოგრაფიულ ცნობებს შემდეგ დაემატება.

მზე-კვირია

ელ. ჩერქეიშვილის თათხობით გამართულმა წარმოდგენამ გასულ ორშაბათს ზუბაღსშეალთა სხსლხო სხსლში საუუნხოვად ჩაიარა. წარმოდგენილ იქმნა „ფული და ხარისხი“ ახანას და „ჭერ დახიტენ“ და მერე დაქორწილდენ, რ. ერისთავის.

თვით ელ. ჩერქეშიშვილის, ნ. შ. გაბუნია-ცაგარ-
ლისა და ვ. ხაშიასის შექცეობადმა თამაშმა აღტ-
რებაში მოიუყანს დამსწრე საზოგადოებას; აგრეთვე
კარგებთ იყვენ ნ. გობრიაძე და კ. ჭკალიძე.
საკონცერტო განხორციელებაში მომხმადებელად
ამღერეს მ. გ. შესხვლავაშვილის ასულმა და იმ. ჩუ-
ბინაშვილმა და კლიაშვილმა.

ვევს მისწავლენი საზოგადოებამ ტაშის ტე-
მათ დაჯილდოვს.

საქართველო მკვლევარმა აქვე აღვნიშნოთ, რომ
ზოგჯერ მას ხელგაზრდა მისხიობთ რთლება არ
ივლიან და ეს-კა არ ეპატუებათ.

ჰობა

წერილი ამბები

ივ. გომართელი, სახელ-განთქმული
მწერალი და ექიმი, 31 მაისს თბილისში დაა-
პატიმრეს სამოსამართლო პალატის განაჩენის
ძალით, რომლითაც ერთი წლის პატიმრობა
მიესაჯა ივ. გომართელს აწდახურულ გურნალ
„ლიონში“ წერილის „როგორ შექმნა აღა-
მიანმა ღმერთი“-ს დაბეჭდვის გამო.

ექიმი ამირბაჯანი, ტრ. რამიშვილის
პიესა, თარგ. ყ. კ—სა წარმოდგენილ იქნება
პირველად სომხურად შაბათს, 12 ივნისს ავ-
ღობის თეატრში „ახალი დრამის“ ამხანაგო-
ბის-მიერ. ამირბაჯანის როლს შეასრულებს
ამოხარაზიანი.

სახალხო სახლში, პარასკევს, 11 იუ-
ნისს, შესდგება ილ. ქუკუაძის **„განდგი-
ლი“-ს** ლიტერატურული გასამართლება და
წარმოდგენილი იქნება კ. ფოცხვერაშვილის
სცენები **„აშენდა საქართველო“**.

ლექცია შანტკელერზე გაიხორბება ამ
ახლო ხანში სახანო თეატრში. ლექციას წა-
იკითხავს სალიოტი სახალხო უნივერსიტეტის
სასაგებლოთ.

ტრ. რამიშვილს უკვე დაუმთავრებია
ახალი ოთხ მოქმედებიანი დრამა. რადენდაც
შინაარსს გავეცანით, პიესა შეეხება ჩვენს ინ-
ტელიგენციას და მეტად საგულისხმოა: პიესაში
გამოყვანილია სრულიად ახალი ტიპები. პიესის
სამი მოქმედება საქართველოში ხდება, მე-
ოთხე უცხოეთში.

ახალი მოდის პიესა. „შანტკელერმა“
მიმამყვლები მოიპოვა საქართველოშიაც, რო-
გორც შევიტყუთ, ჩვენს ახალგაზრდა მკლანს
ი. გრიშაშვილის დაუწყებია ახალი პიესა „არ
შეკციად ბაკაკაჯან“, რომელშიაც მოქმედ
პიონერად გამოყვანილია დათვი, თხა, ყოჩი, მგე-

ლი, ცხვარი, თიკანი, ვირი, ძაღლი, თუთიყუ-
ში და სხვ.

გარდაცვალნენ, — სახელგანთქმული
მომღერალი ქალი **ე. ი. კუზა** და გამოჩენილი
მუსიკოსი **მ. ა. ბალაქირევი**.

რუსეთის სასცენო მოღვაწეთა შორის
შესდგა კომისია, რომელსაც მიზნად დაუსა-
ხავს სასოფლო თეატრის შესწავლა.

ბერლინის ცენზურამ აკრძალა ნ. ანდრე-
ვის პიესის **„დღენი ჩემი ქოვრების“** მესამე
მოქმედება. — დედის-მიერ ქალის გამძებება (ვა-
ყიდვა) დიდი უზნებობაა.

პოლონური თეატრი არსდება პეტერ-
ბურგში, შემოდგომიდან.

წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბ. რედაქტორო! ნუბ მიბძოთ თქვე-
ნის გახუთის საშუალებით გამოუცხადო გულითადა
მადლობა ჩართულ და სიმხურ დრამატულ საზო-
გადოებათ, სხვა და სხვა დაწესებულებათ წარმო-
მადგენლეთ, გახუთების რედაქციათ, ჩართულ და
სიმხურ სტენათ ვევად არტისტ-ამხანაგებს, მსტე-
რებს, პრესის წარმომადგენლებს, ჩართულ და სო-
მუხ საზოგადოებათ წარმომადგენლებს, შეგობრებს
და კერძო პირებს, რომელთაც მომადგენს ჩუმა
სასცენო მოღვაწეობის 25 წლის უბიდაუ დეპე-
შუბით, ადრესუბით, წერილებით თუ პირდათ.

დასსრულე მოვალეობას ვკრწნობ, გულითადა
მადლობა გამოუცხადო საუბიდაუ კამისიის ვე-
ლა წერებს და განსაკუთრებთ საუბიდაუ კამი-
სიის თავდგომარეს დადათ პატრენუმულს დ. ი.
მღერობუს.

არტისტი **გ. გედევანოვ-მირალიანი**

შინაარსი: რედაქციისგან; ახალი გზა—
ახალი ძალა—შუაყურა; ახლანდელი პოეზია
—ივ. გომართლის; ჩემი შენიშვნები—შაფა და-
დასის; რეაქცია—ჯაკის; * * *—ჯანი ბრუელის;
მოვა დრო — გ. ფოცხვერაშვილის; ჩემი პანგი—კაპან
ფაშველის; ინგილოური ლეგენდები (თავე-
ბის ციხე)—ს. კლიდის; * * *—სკვლასის; ქარ-
თველ ახალგაზრდა პოეტთა ბედი—ხარის; დიქ-
ცია—გ. ჯაბადრის; სათეატრო ამბები; წერ.
რედაქ. მიმართ; დილა—გ. ტაბიასის.

რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

საანუფატურო ამხანაგობა


ნაზაროვისა და ოშიივისა

ერევნის მოედანზე, ქალაქის გამგეობის დარბაზის ქვეშ.

ყოველდღე მოსდით აბრაშევის, მატევის, ტილოს

და ბაშეულის დიდძალი საქანელი

უკანასკნელი მოღისა

ამხანაგობა მატეველ სსოგადობის ურადღებს მაქცეეს საქანლის ღირსებას და დღემდის არ
ყოფილ სიახვეჭე  სციდება შეფუთვებლად 25-10

ჩვენი გაზეთი

ყოველ დღე
საპოლიტიკ.
სალიტერ.

გაზეთი. წლიურად 7 მან. ნახევარი წლით
4 მან. საზღვარ-გარედ 14 მან. ნახევარი წლით
7 მან. რედაქტ.-გამომც. **ზ. ტყეშელაშვილი**
ადრესი: Тифлиς, тип., «Пром»,
Кал. Кош. Цуладзе.

სახალხო გაზეთი

ყოველ-დღე
საპოლიტიკ.-
სალიტერატ.

გამოცემა, კვირეული სურათებიანი დამატებით.
წლიურად 8 მან. ნახევარ წლით 4 მან 50 კ.
რედაქტ.-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილი** სს
ადრესი: Тифлиς, Большая Ванкская
ул., № 12, Сем. Пашалашвили.

НОВАЯ РЪЧЬ

Ежедн. общ.-полит.
литературная газета

На годъ 7 руб., 1/2 года 4 руб. помѣ-
сячно 75 коп. Тифлиς, Дворцовая ул.
д. Груз. Двор. ред. «Новая рѣчь».

Ред. **Р. Д. Вибіевъ.**

Издат. **И. А. Готуа**

ხელთნაწიარი პიესები შემოხვევით იყიდება
ლევ. ბალაშვილთან. ანდრონიკოვის ქ., № 5.

სასაღსო სახელში,

პარასკევს, 11 ივნისს,

შესდგება

I

ლიტერატურული კანსამართლებს

ბანდებილი-ს

ი. ზავზავაძის კომედიად

მონაწილეობენ: ქ-ნი გოგოლაშვილი თ.
ბ. ბ. ბაქრაქე ვლ., ჯაფარიძე ს., ჯაფა-
რიძე კ., ზურაბიშვილი ი., მაქავარიანი
ი., მესხიშვილი შ., მახარაძე გ., ელიავა
ნ., ელიავა შ. და სხვ.

II

წარმოდგენილი იქნება კ. ფოტხევერაშვილის
ქ ა ე ს ა

აშენ და საქართველო!

სცენები ორ მოქ. ქართ. სტუდენტების ცხოვრ.

დასაწყისი საღ. 8 საათ.

ფასები 1 მ. — 10 კ. გამგე ალ. ს. ლანდია.